

JEL Classification: B22, H55, P21

<https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012>

GEORGIA IN THE WORLD OF CORONOMICS: THREATS AND CHALLENGES

NANA ASLAMAZISHVILI

PhD in Economics,

Invited Professor at the

Tbilisi State University, Georgia

aslamazishvilinana@gmail.com

Abstract. So far, much has been written and discussed about the rapid variability and complex predictability of the global economy, and different countries have more or less successfully dealt with the challenges they face. However, the global threat posed by the world in the form of COVID-19 puts the methods and approaches to combating economic crises completely upside down. What should be the strategy and tactics of the countries to start recovering the economies as quickly as possible under such kind of circumstances? In such a situation, it should be the best way to “hurry up slowly,” that is, to be thoroughly consistent so that short-term emergency measures do not harm long-term goals.

Given the conditions of coronomics and the lessons the world has learned from it at this stage, recovery of the economics, in the earlier sense of the term, should be completely ineffective. We are accustomed to the fact that in the post-crisis period, economic recovery in a sense implies a more or less back-off to what was before the crisis. Given that this time a completely different “crisis” is occurring, essential structural changes and important transformations in many areas of the economy are needed to overcome its consequences. One of the clear lessons that must be learned from Coronomics is that returning to what was already before would not be the right course of action for the economies focused on the sustainable development.

Georgia is a small open economy, and the fate of such economies has already been decided in advance: they will not be able to influence the global economy, and their efforts must be directed to protect themselves from the negative effects of the ongoing processes in the world. What are the priorities for such countries on this path if traditional sectors are vulnerable to certain types of crises and fail to cope with the task of generating revenue in extreme situations that are necessary, on the one hand, to balance their demands and, on the other hand, to meet external obligations? This is the reality that Georgia has faced in the face of coronomics.

How did the Georgian economy meet the shock of COVID-19? 2019 will be a turning point in many years for assessing economic outcomes, not just in Georgia. What are the dynamics of macroeconomic indicators and do they give a positive signal according to the data of this period? This article deals with the external economic aspects of these indicators.

The current account deficit as of 2019 was \$ 900.5 million, or 5.1 percent of gross domestic product. Historically, this is the best indicator in the history of independent Georgia. On the other hand, historically, the country's external liabilities, which amount to \$ 34.5 billion, are 1.9 times higher than Gross Domestic Product and 3.2 times higher than the country's foreign financial assets; The country's external debt was 1.1 times higher than GDP at the end of 2019, while imports accounted for 40.8 percent of total consumption (intermediate and final).

Thus, Georgia's positioning on the challenges of COVID-19 is completely unfavorable and critical.

This article aims to discuss the main aspects of the country's foreign sector accounts, the profitable and deficient articles of the balance of payments that traditionally determine the state of the current account, and how vulnerable these items are to external factors and shocks. The focus on this issue is to explore the ways in which it is possible to reduce the degree of dependence of the country's economy on foreign shocks and achieve external economic stability.

However, it should be noted that the format of the article is not sufficient for in-depth discussion of a number of cause-and-effect issues, for the evaluation of perspectives, and for deeper and more substantiated reasoning. Therefore, it can be said that the paper forms the main postulates on the issues under consideration, which together and each of them deserves in-depth research, but not in terms of fragmentary time and content, but in a complex and permanent mode.

KEYWORDS: BALANCE OF PAYMENTS, CURRENT ACCOUNT, FOREIGN TRADE, INVESTMENTS, TRAVEL, COVID-19.

For citation: Aslamazishvili, N., (2020). Georgia in the World of Coronomics: Threats and Challenges. *Globalization and Business*, 10. 94-102. (In Georgian) <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012>

საქართველო კორონომიკის სამყაროში: საფრთხეები და გამოწვევები

ნანა ასლამაზიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, მიწვეული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო aslamazishvilinana@gmail.com

საკვანძო სიტყვები: საგადასახდელო ბალანსი, მიმდინარე ანგარიში, საგარეო ვაჭრობა, ინვესტიციები, ტურიზმი, COVID-19.

ციტირებისთვის: ასლამაზიშვილი ნ. (2020). საქართველო კორონომიკის სამყაროში: საფრთხეები და გამოწვევები. *გლობალიზაცია და ბიზნესი, №10*, გვ. 94-102 <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012>

შესავალი

„ხასიათის ჭეშმარიტი ტესტი ის კი არ არის, თუ რამდენად ბევრი ვიცით როგორ მოვიქცეთ, არამედ ის, თუ როგორ ვმოქმედებთ, როცა არ ვიცით როგორ მოვიქცეთ“. ამერიკელი მწერლისა და პედაგოგის ჯონ ჰოლტის ეს გამონათქვამი, ისე როგორც არცერთი სხვა, იმდენად ზუსტად მიესადაგება და გამოდგება კორონომიკის პირობებში საზოგადოებების, მთავრობების, ცალკეული ინდივიდების ქმედებების შეფასებისთვის.

ეკონომიკურ თეორიასა თუ პრაქტიკაში დაგროვდა კრიზისებთან გამკლავების არაერთი გამოცდილება, წარმატებულიც და წარუმატებელიც, თუმცა, Covid-19 ალბათ დიდხანს იქნება ეკონომისტების „მთავონების წყარო“ ახალი თეორიების შესაქმნელად, იმისათვის, თუ როგორ ვემზადოთ მსგავსი არასასურველი გამოწვევებისათვის. თუმცა დღეისათვის, როცა უცნობია, რა ეტაპზეა თვითონ COVID-19-ის სახელით ცნობილი კრიზისი, მნიშვნელოვანია, კრიტიკულად შეფასდეს მოცემული ეკონომიკის პლუსებიც და მინუსებიც და სწორედ ამის საფუძველზე მნიშვნელოვანია „ვიჩქაროთ ნელა“ როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული ამოცანების დასახვისას. სწორედ ამ მიდგომით განიხილავს წინამდებარე სტატია ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ პოზიციონირებას მიმდინარე ეტაპისათვის და მიზნად ისახავს ამ სფეროში მოცემული პერიოდისათვის ჩამოყალიბებული სასტატო მდგომარეობის შეფასებას.

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი ტენდენციები Covid-19-ის წინ


სადასახდელო ბალანსის კვლევა მაკროეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ხოლო

მიმდინარე ანგარიშის წონასწორობისაკენ სწრაფვა დანარჩენ სამყაროსთან – ქვეყნის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ამოცანაა. მიმდინარე ანგარიში პასუხს სცემს კითხვებს არა მარტო ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოზიციონირების თაობაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად გამართლებულია ქვეყნის შიგნით დაზოგვა-ინვესტიციებს შორის არსებული თანაფარდობა, მოხმარების არსებული დონე, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დაფინანსების გზები და საშუალებები; რამდენად არის შესაბამისობაში იმპორტზე მაღალი მოთხოვნილებები შრომისა და წარმოების კულტურისა და ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მიზნებთან; როდის არის „საშიში“ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ყოველთვის იძლევა თუ არა მისი გაუმჯობესება ეიფორიის საფუძველს. ეს ის საკითხებია, რომლებიც ყოველთვის ფართო ხედით უნდა იყოს ეკონომისტებისა და პოლიტიკის გამტარებლების თვალთახედვის არეში.

სპეციალისტებმა ვერც კი მოასწრეს 2019 წლის შედეგების შეჯამება, ისე დაატყდა მთელ მსოფლიოს გლობალური საფრთხე. Covid-19-მა სრულიად შეცვალა ადამიანების საქმიანობის დღის წესრიგი. ამ ფონზე **მთავარი ამოცანაა, ახალი დღის წესრიგი იყოს მაქსიმალურად რაციონალური, სწრაფი რეაგირების, შედეგებზე ორიენტირებული და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი.**

ბოლო ორი ათეული წლის მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციებზე დაკვირვება თითქოს ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია. სამწუხაროდ, ეს მითი რამდენიმე კვირაში დაიმსხვრა კორონავირუსის ელვისებური გავრცელების ფონზე. განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაცია სრულიად არ ყოფილა პანაცეა ეროვნული ეკონომიკების სტაბილური განვითარებისათვის. ამ უკანასკნელის მისაღწევად პირველ რიგში საჭიროა,

დიაგრამა 1. საქართველოს საგადასახდლო ბალანსის ძირითადი პროფიციტური (მარჯვნივ) და დეფიციტური (მარცხნივ) მუხლები, მლნ აშშ დოლარი



რეალურად შეფასდეს ის პოტენციალი, რაც ქვეყანას გააჩნია და აქცენტები გადატანილ იქნეს სწორედ მის განვითარებაზე, გამდიდრებასა და გამოყენებაზე.

არის თუ არა სწორად გამოყენებული ქვეყნის შესაძლებლობები და შეფარდებითი უპირატესობები საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით?

თუ საგადასახდლო ბალანსს დავაკვირდებით, ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია და ამაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს.

ავიღოთ, თუნდაც, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი. თუ საგადასახდლო ბალანსის მონაცემებს გადავხედავთ და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსს განვიხილავთ:

- ტურისტული მომსახურების გარეშე 2012 წლიდან იგი უარყოფითია; შესაბამისი სალდო, 2012–2019 წლებში 9.6-ჯერ გაიზარდა და 2019 წლის მონაცემებით 442.7 მლნ აშშ დოლარი, ანუ მიმდინარე ანგარიშის 49.2 პროცენტი შეადგინა;

- საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების ბალანსი, რომელიც ასევე დიდწილად სატრანზიტო პოტენციალთან ასოცირდება, ასევე დეფიციტურია, თუ არ ჩავთვლით მილსადენებისა და ელექტროსადენების საერთაშორისო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. 2005 წელთან შედარებით, საიდანაც ფიქსირდება საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების დეფიციტი, ეს უკანასკნელი 2019 წლის მონაცემებით 55.7-ჯერ გაიზარდა და 587.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მიმდინარე ანგარიშის ბალანსის 65.2 პროცენტია.

- თითქმის არ იცვლება იმპორტისა და ექსპორტის თანაფარდობა და მთელი ბოლო 20 წლის განმავლობაში დაახლოებით 2.1-1.8 კოეფიციენტის დიაპაზონში რჩება (გარდა 2007–2008 წლებისა, როცა ეს კოეფიციენტები 2.4 და 2.6 იყო, შესაბამისად).

- ერთი მხრივ, საქსპორტო შემოსავლების სიმცირე და, მეორე მხრივ, საგარეო ვალდებულებების მრდა უარყოფით გავლენას ახდენს პირველადი შემოსავლების ბალანსზე,

რომლის უარყოფითი სალდო წლიდან წლამდე იზრდება.

ამ ემპირიულ მიმოხილვას თუ დავუმატებთ კიდევ ერთ შტრიხს – ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის ძირითადი პროფიციტური და დეფიციტური მუხლების შედარებას, დავინახავთ, რომ ოთხი ძირითადი პროფიციტური მუხლიდან, როგორცაა ტურიზმი, პირადი გზავნილები, შრომის ანაზღაურება არარეზიდენტებისაგან და მილ- და ელექტროსადენები, ამ უკანასკნელის გარდა პირველი სამი უაღრესად მოწყვლადია საგარეო ფაქტორებისადმი, რაც დადასტურდა კიდევ Covid-19-ის განვითარების ფონზე.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი: რაზე მიუთითებს არსებული დინამიკა?

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს არაერთი ქვეყანა განიცდის. თუმცა, *მნიშვნელოვანია დეფიციტის სისტემური მართვის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება* და განხორციელება. ამისათვის კი აუცილებელია შესაბამის მონაცემთა სწორი ანალიზი.

რაზე მიგვანიშნებს საქართველოს საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა?


ძირითადი ტენდენციები:

- საქართველოს საგადასახდლო ბალანსმა მკვეთრი გაუარესება 2005 წლიდან დაიწყო, 2008 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულზე დაეცა (2.8 მლრდ აშშ დოლარი) და მთლიანი სამამულო პროდუქტის 22.0 პროცენტი შეადგინა. მიმდინარე ანგარიშის აღნიშნული გაუარესება თითქმის მთლიანად საქონლით საგარეო ვაჭრობის მკვეთრმა გაუარესებამ განაპირობა;


- მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს საქონლით საგარეო ვაჭრობის ბალანსი გაუმჯობესდა, 2010 წლიდან მან მკვეთრი ვარდნა განაგრძო და 2010–2019 წლების განმავლობაში მისი დეფიციტი დარჩა საშუალოდ 2008 წლის დონეზე (საშუალოდ -3.9 მლრდ აშშ დოლარი);

¹ აქ და შემდგომ დიაგრამები აგებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე (თუ სხვა წყარო არ არის მითითებული): www.nbg.gov.ge.

დიაგრამა 2. მიმდინარე ანგარიშისა და მისი მთავარი კომპონენტების დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



დიაგრამა 3. საქართველო: მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის დინამიკა, %



• 2009 წელს საქონლით სავარეო ვაჭრობის ბალანსის ერთწლიანი გაუმჯობესების შედეგად გაუმჯობესებული მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2009-2019 წლებში მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა სტაბილურობას მომსახურების, უმეტესწილად, ტურისტული მომსახურების ბალანსის აგრეთვე პირადი ტრანსფერების დადებითი დინამიკის ხარჯზე მთლიანი სამამულო პროდუქტის 9-10 პროცენტის დონეზე (ზოგიერთ წლებში უფრო დაბალ ნიშნულზე);


ამდენად, საქართველოს სავადასახდელო ბალანსის „აქილევსის ქუსლი“ – საქონლით სავარეო ვაჭრობის უარყოფითი დინამიკა კვლავ სერიოზულ საფრთხედ რჩება ქვეყნის ეკონომიკისათვის.

თუმცა, არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს მომსახურებით სავარეო ვაჭრობის ბალანსის დინამიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი დადებითი ტრენდი ტურისტული მომსახურების დადებითი ბალანსის ბრძლით მიიღწევა. თუმცა,


განვითარებული პანდემიის ფონზე ნათელი გახდა, რომ სავადასახდელო ბალანსის მდგრადობის უზრუნველყოფა მსგავსი კომპონენტების ხარჯზე ვერ მიიღწევა. აქამდე განვითარებული სხვადასხვა კრიზისების ფონზე, ამა თუ იმ ტურისტული ქვეყნების მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველგან და ყოველთვის ტურისტული სექტორი ძალიან მტკივნეულად რეაგირებს მსგავს შოკებზე, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოტანილი დიაგრამები².

იზრდება საქართველოს სავადასახდელო ბალანსის დამოკიდებულების ხარისხი ქვეყნის საერთაშორისო ფინანსურ ვალდებულებებზე, რაც აისახება პირველადი შემოსავლების ბალანსის განვითარების ტენდენციებზე და მიმდინარე ანგარიშზე მის უარყოფით გავლენაზე.


² <https://knoema.com/atlas/topics/Tourism/Travel-and-Tourism-Total-Contribution-to-GDP/Contribution-of-travel-and-tourism-to-GDP-growth?type=maps>



დიაგრამა 5. საბერძნეთი: მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის დინამიკა, %



დიაგრამა 6. იტალია: მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიან სამამულო პროდუქტში წილის დინამიკა, %



სპეციალისტების დიდი ნაწილი, როდესაც საუბარია საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტზე, უმეტესად ყურადღებას ამახვილებს საგარეო სავაჭრო ბალანსზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში მართლაც განსაზღვრავდა საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას და დინამიკას, დაახლოებით ბოლო 10 წლის განმავლობაში მოხდა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გააქტიურება. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ბალანსი.

ძირითადი ტენდენციები:

- პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტი 2008-2019 წლებში 11.9 ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი იმავე პერიოდში 3-ჯერ შემცირდა;
- იმავე პერიოდში პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტის თანაფარდობა მიმდინარე ანგარიშთან 2.1-დან 78.2 პროცენტამდე გაიზარდა;
- პირველადი შემოსავლების ანგარიშის უარყოფითი ტენდენცია გამოწვეულია საინვესტიციო შემოსავლების ბალანსის დეფიციტის მკვეთრი გაუარესებით, განსაკუთრებით 2016 წლიდან. 2019 წელს ამ მაჩვენებელმა 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 0.8 მლრდ აშშ დოლარისა 2015 წელს.
- საინვესტიციო შემოსავლების ბალანსის გაუარესებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პირდაპირ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახდელების ზრდის ტენდენცია: 2019 წელს საინვესტიციო ხარჯების (გასავლების) 68.3 პროცენტი სწორედ პირდაპირ ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული (დივიდენდებისა და სხვა გადასახდელების სახით), რამაც 1.3 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია.

2008 წლამდე პირველადი შემოსავლების ბალანსი მცირე მოცულობით, თუმცა დადებით დინამიკას უჩვენებდა.

2008 წლიდან იგი უარყოფითი გახდა და დეფიციტმა 59.4 მლნ აშშ დოლარიდან 2019 წელს 704.0 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ანუ 11.9-ჯერ გაიზარდა. შესაბამისად, 2019 წლის მონაცემებით პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტმა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის 78.2 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 2.1 პროცენტისა 2008 წელს.

პირველადი შემოსავლების ბალანსის მდგომარეობას მისი ორი ძირითადი კომპონენტი განსაზღვრავს: შრომის ანაზღაურება და საინვესტიციო შემოსავალი (იხ. დიაგრამა 8).

როგორც დიაგრამიდან ჩანს, შრომის ანაზღაურების სახით წმინდა შემოსავლები შედარებით სტაბილურია და დადებითი ტენდენციით ხასიათდება. განსხვავებული მდგომარეობაა საინვესტიციო შემოსავლების მიხედვით: ბალანსი უარყოფითია, ტენდენცია 2016 წლიდან მკვეთრად უარესდება. ამ უკანასკნელზე სერიოზული გავლენა აქვს პირდაპირი ინვესტიციებიდან შემოსავლების ბალანსის გაუარესებას, ანუ საინვესტიციო გადასახდელების ზრდას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (იხ. დიაგრამა 9).


კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან საინვესტიციო შემოსავლების დეფიციტის წილი მთელ წმინდა საინვესტიციო შემოსავლებში, რომელიც ასევე დეფიციტურია, 2008-2019 წლებში საშუალოდ 60.0 პროცენტის ფარგლებში იყო, 2018 წელს კი 69.8 პროცენტი შეადგინა.

ამდენად, როგორც სტატისტიკიდან ჩანს, წმინდა საინვესტიციო შემოსავლების უარყოფითი მნიშვნელობა უმეტესწილად განპირობებულია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახდელების მნიშვნელოვანი ზრდით.

რა განაპირობებს ამ მაჩვენებლის ზრდას?

დიაგრამა 10 თვალნათლივ უჩვენებს, რომ 2015 წლიდან შეინიშნება ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთების მნიშვნელოვანი მატება. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა მასშტაბებთან

დიაგრამა 7: საქართველოს საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ანგარიშის დინამიკა



გვაქვს საქმე ამ ფენომენთან მიმართებაში, მივმართოთ გავროს ვაჭრობისა და განვითარების კომისიის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას³ (ცხრილი 1):

ამდენად:


- 2017-2019 წლებში საქართველოში მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირების 29.6 პროცენტი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით იყო უზრუნველყოფილი, როცა ანალოგიური მაჩვენებელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით საშუალოდ, შესაბამისად, დაახლოებით 9.0 და 7.4 პროცენტს შეადგენდა; ასევე დაბალია ეს მაჩვენებლები რეგიონის და ბალტიის ქვეყნებთან შედარებით; აღნიშნულის შედეგად ქრონიკულად დეფიციტურია ქვეყნის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსი და შესაბამისად – მიმდინარე ანგარიში.

- საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთების შეფარდება მთლიან სამამულო პროდუქტთან 2018-2019 წლებში საშუალოდ 105.8 პროცენტი იყო (წინა წლებში – უფრო მეტი) და თითქმის 3-ჯერ აჭარბებდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა კიდევ შესაბამისი გადასახდელების მკვეთრ ზრდას და პირველადი შემოსავლების ბალანსის დეფიციტს.


საინვესტიციო გადასახდელების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტია გადასახდელები სხვა ინვესტიციებზე (იხ. დიაგრამა 10), ანუ სესხებზე, სავაჭრო კრედიტებსა და ავანსებზე, დეპოზიტებზე და სხვა ანგარიშებზე. ასეთი გადასახდელების წილი საინვესტიციო გადასახდელების მთელ მოცულობაში, 2008-2019 წლების განმავლობაში საშუალოდ 25-30 პროცენტის ფარგლებშია (2019 წელს 24.6%) და შედარებით სტაბილურ დინამიკას უჩვენებს. თუმცა, ამ მაჩვენებლის სტაბილურობა დამოკიდებულია ქვეყნის უზარმაზარი საგარეო ვალდებულებების დაფარვის გრაფიკზე.

ამდენად, საგადასახდელო ბალანსის პირველადი შემოსავლების ბალანსის საინვესტიციო გადასახდელების დეფიციტის მკვეთრ ზრდას უშეტესწილად განაპირობებს პირდაპირ უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებული გადასახდელები.

დიაგრამა 8. პირველადი შემოსავლების ბალანსი კომპონენტების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი



დიაგრამა 9. წმინდა საინვესტიციო შემოსავლების დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მეორადი შემოსავლების ანგარიში ტრადიციულად დადებითია, რაც განპირობებულია მისი უმთავრესი კომპონენტის – შემოსული პერსონალური ტრანსფერების (ფულადი გზაწვრილების) მოცულობის ზრდის ტენდენციით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომპონენტიც საკმაოდ მოწყვლადია საგარეო ფაქტორების მიმართ.

რაზე მიგვანიშნებს საგადასახდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი? იმაზე, რომ:

- საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების სისტემური და ეფექტური გზები არ არის მოძებნილი, რაც ძირითადად შეცვლის საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის ბალანსის ტრანეჟორიას, რომელიც ათეული წლების მანძილზე არ იცვლება;
- საგადასახდელო ბალანსის განვითარების ამოცანა არ არის დაფუძნებული სტაბილურ ფაქტორებსა და შემო-

3 World Investment Report 2019. Country fact sheet: Georgia. https://unctad.org/sections/dite_dir/docs/wir2020/wir20_fs_ge_en.pdf

დიაგრამა 10. უცხოური ინვესტიციების ნაშთებისა და შესაბამისი გადასახდელების დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



ცხრილი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: განმარტებული მაჩვენებლები შერჩეული ქვეყნების მიხედვით

	2017	2018	2019
შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირების მიმართ, %			
საქართველო	40.7	24.4	23.6
სომხეთი	12.0	12.2	11.8
აზერბაიჯანი	29.1	14.5	15.3
ესტონეთი	28.8	20.2	37.2
ლატვია	10.6	12.8	10.1
ლიტვა	10.8	10.0	8.5
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ	10.1	6.7	10.2
მსოფლიო	8.4	6.9	7.0
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაშთები მშპ-ს მიმართ, %			
საქართველო	x	103.7	107.9
სომხეთი	x	44.3	41.5
აზერბაიჯანი	x	65.4	68.3
ესტონეთი	x	80.7	87.5
ლატვია	x	50.7	52.6
ლიტვა	x	36.5	37.7
სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა და დსთ	x	34.1	36.2
მსოფლიო	x	38.5	42.0


სავლებზე, არამედ გათვლილია მოწყვლადი ფაქტორებიდან შემოსავლებზე, რაც უდარესად ზრდის მიმდინარე ანგარიშის ნებისმიერ დროს გაუარესების რისკებს;

• საინვესტიციო მიმართულებით არ არის შემუშავებული სტარტეგია, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ინვესტიციების შემოსვლას, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს, ასოცირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, შრომისა და წარმოების კულტურის განვითარებასა და

ამაღლებასთან და საექსპორტო პოტენციალისა და შემოსავლების ზრდასთან;

• საგადასახდელო ბალანსის განვითარების პრობლემატიკა არ არის განხილული ქვეყნის დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსთან მიმართებაში და, მაშასადამე, მასზე მსჯელობა მოკლებულია კომპლექსურ და მიზეზ-შედეგობრივ ხედვას; ძირითადი კაპიტალის ფორმირების უდიდესი ნაწილი უზრუნველყოფილია უცხოური ინვესტიციების ხარჯზე, რაც

დიაგრამა 11. მეორადი შემოსავლების ბალანსი და პირადი ტრანსფერები, მლნ აშშ დოლარი



მნიშვნელოვნად განაპირობებს სავალო ვალდებულებების დაგროვებას და წლიდან წლამდე წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის გაუარესების დინამიკას. თუმცა, რამდენად გამართლებულია ამ გზით ძირითადი კაპიტალის ფორმირება, აქვს თუ არა ქვეყანას დაზოგვის მოცულობის ზრდისა და დაზოგვა-ინვესტიციების ბალანსის გაუმჯობესების რესურსები, როგორ ნაწილდება როლები ამ სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორებს შორის – ეს დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული საკითხებია, რომლებიც სერიოზულ კვლევებს საჭიროებს.

სწორედ აღნიშნული პრობლემეტიკის ფუნდამენტური კვლევისა და შექმნილი ვითარების რადიკალურად შემობრუნების სტრატეგიის შემუშავების საკითხზე ყურადღების გამახვილება არის ამ სტატიის მიზანი და რეკომენდაცია. რადგანაც მიმდინარე მოვლენებმა დაგვანახა ყველა ნიშანი იმისა, რომ ახალი რეალობა იქნება ძალიან მკაცრი, დაუნდობელი და სრულიად განსხვავებული, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

დასკვნის მაგიერ

ჩვენს სტატიის სათაური შემთხვევით არ შეგვიჩვენია. 2020 წლამდე საზოგადოებისთვის ცნობილი იყო არაერთი კრიზისი. თუმცა, COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა, თავისი მანამდე არნახული მასშტაბებით, გადაფარა ყველა მათგანი, გააცამტვერა ყველა კრიზისული და ანტიკრიზისული თეორიები და გააჩინა მისი დაძლევის წარმოუდგენელი სირთულის თავსატეხი. შრილანკელმა პროფესორმა აჯიტ დე ალვისმა (Prof. Ajith De Alwis), რომელმაც პირველად გამოიყენა ტერმინი „კორონომიკა“, სწორედ ამ ვითარების აღსანიშნავად შექმნა ეს ტერმინი (კორონა პლუს ეკონომიკა). ჩვენ გადავწყვიტეთ განგვეზოგადებინა ეს ტერმინი, ზოგადად იმ საფრთხეების, გარემოსა და ვითარების აღსანიშნავად, რომელ სამყაროშიც დიდი ალბათობით მოგვიწევს ცხოვრება ჩვენ და ჩვენ შემდგომ საზოგადოებებს.

ლიტერატურა/REFERENCES

Aslamazishvili, N. (2018). Balance of Payments of Georgia: Key Aspects of its Analysis. *Globalization & Business* N6. 136-143. (In Georgian)

Balance of Payments of Georgia (2018). *National Bank of Georgia*. https://www.nbg.gov.ge/uploads/bop/bop_2018_eng_publish.pdf

World Investment Report (2019). Country fact sheet: Georgia. https://unctad.org/sections/dite_dir/docs/wir2020/wir20_fs_ge_en.pdf

<https://knoema.com/atlas/topics/Tourism/Travel-and-Tourism-Total-Contribution-to-GDP/Contribution-of-travel-and-tourism-to-GDP-growth?type=maps>

www.nbg.gov.ge